ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4100366

ნომერი: AR1615023

თარიღი : 10.07.2018

გაცემის თარიღი : 02.08.2018

გაცნობის თარიღი : 02.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ქსნის ქუჩის მიმდებარედ); ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ნაკვ.N039/032-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რატი ავალიანი პ/ნ 01008058271
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძეს გამზირი, N 33ა, ბინა 59

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის N3686023 ბრძანებით ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ქსნის ქუჩის მიმდებარედ)/ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ნაკვ.N039/032-ის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისში , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ს/კ N01.22.08.039.155) ავტოსამრეცხაოს განსათავსებლად დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 10 ივლისის NAR1615023 განცხადებით მომართა რატი ავალიანმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის N3686023 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა,

კერძოდ მოითხოვა დამატებით დაფიქსირდეს ობიექტის ფუნქციურ დანიშნულებად ,,სავაჭრო ცენტრი“.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 3 ივლისის N1368426 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის N3686023 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ დამატებით დაფიქსირდეს ობიექტის ფუნქციურ დანიშნულებად ,,სავაჭრო ცენტრი“. ასევე აღნიშნული ბრძანების გაფრთხილება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,, გაფრთხილება: 1. დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი (იხილეთ დანართი). 2. ავტოსამრეცხაოს (ავტოსამრეცხაო და ავტოტექმომსახურება) შენობა ნაგებობა განთავსდეს სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)-ის არეალში. 3. სავაჭრო ცენტრის შენობა-ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-3-ის (სსზ-3) არეალში.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 ნოემბრის N3686023 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.